| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| წვდომა ფინანსებზე;<br><br>ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელი;<br><br>გარე პოზიციონირება და მარკეტინგი | ბიზნეს პროექტების დაფინანსების ხელშეწყობა და წახალისება, დაფინანსებისა და თანადაფინანსების მექანიზმის შექმნა (კონკურსის წესით) და ამოქმედება | 9. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ასევე ახალ შექმნილი საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის მიერ ტარდება მუნიციპალიტეტის (ან რეგიონალური) ბიზნეს იდეების/პროექტების კონკურსი. | 01.10.2019-30.12.2020 წელიწადში ერთხელ ჩატარდება ღია კონკურსი საუკეთესო პროექტის, პროგრამის, ბიზნეს გეგმის/გეგმების გამოვლენისათვის (1 - პირველი, 2 - მეორე და 3 - მესამე ადგილოსანის გამოვლენისათვის), მათი შემდგომი დაფინანსებით ან თანადაფინანსებით. | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები; დონორები და ინვესტორები, საგანმანათლებლო, აკადემიური წრეებისა და ექსპერტთა წრის წარმომადგენლები; ასევე სხვა პარტნიორები | **270 000 ლარი (90 000 ევრო)** | **მყისიერი შედეგი:**<br>1) მოხდა მეწარმეების მოტივირება, არსებული ბიზნესის განვითარების სტიმულირება და ახალი ბიზნეს იდეების ინიცირება;<br>2) მოხდა ბიზნეს პროექტების, პროგრამებისა და ბიზნეს გეგმების მომზადება და წარმოდგენა;<br>3) გამოვლინდა კონკურსში გამარჯვებული ბიზნეს პროექტები<br><br>**მონიტორინგის მაჩვენებლები:**<br>1) კონკურსში მონაწილე სუბიექტების რაოდენობა;<br>2) კონკურსში მონაწილე პროექტების რაოდენობა;<br>3) გამარჯვებული პროექტების რიცხვი | **საბოლოო შედეგი:**<br>1) წახალისებული და განვითარებულია ბიზნესის კონკრეტული მიმართულებები;<br>2), დასაქმებულია ახალი მუშახელი;<br>3) ამაღლებულია კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის დონე;<br>4) გაზრდილია დასქმების შესაძლებლობა და არჩევანი;<br>5) ამაღლებულია ბიზნესის ეფექტურობა<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები:**<br>1) სტარტ-აპების რაოდენობა;<br>2) ახალდასაქმებულთა რაოდენობა;<br>3) წარმატებით განხორციელებულ ბიზნეს პროექტთა რაოდენობა;<br>4) დაფინანსების მოცულობა;<br>5) მიღებული შემოსავლების მოცულობა |
| ბიზნეს-მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია;<br><br>ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელი;<br><br>გარე პოზიციონირება და მარკეტინგი | ქალაქ ზესტაფონში და საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ რამდენიმე წინასწარ შერჩეულ ლოკაციაზე მაღალი დონის სავაჭრო ინფრასტრუქტური ს მოწყობა | 10. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ასევე დაინტერესებული მეწარმეების ჩართულობით ეწყობა 5 ან 6 სავაჭრო ინფრასტრუქტურა | 01.01.2019-30.12.2020 მთელი პერიოდის განმავლობაში. | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები; დონორები და ინვესტორები | **300 000 ლარი (100 000 ევრო)** | **საბოლოო შედეგი:**<br>1) ჩამოყალიბდა ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისათვის მიმზიდველი და მოსახერხებელი სავაჭრო სივრცე;<br><br>**მონიტორინგის მაჩვენებლები:**<br>1) მოწყობილი სავაჭრო ობიექტების რაოდენობა;<br>2) ობიექტებში განთავსებული მეწარმე სუბიექტების რიცხვი; | **საბოლოო შედეგი:**<br>1) გაზრდილია მუნიციპ-ის ბიზნეს შესაძლებლობების შესახებ უცხოელი ტურისტებისა და პოტენციური ინვესტორების მხრიდან ცნობადობა და დაინტერესება;<br>2) გაზრდილია ვაჭრობისა და კომერციული გარიგებების რიცხვი<br>**საბოლოო შედეგის ინდიკატორები:**<br>1) სავაჭრო ობიექტებზე განხორციელებული ოპერაციების რაოდენობა;<br>2) საერთო შემოსავლები |

შენიშვნა:. ,,დასაქმების ხელშემწყობი ცენტრის" საქმიანობის ძირითადი მიმართულებები ამ ეტაპზე შემდეგნაირადაა განსაზღვრული /მომავალში ვუშვებთ გარკვეული ცვლილებების შესაძლებლობას/:

ა) მუნიციპალიტეტში მოქმედ საწარმოთა ერთიანი ჩამონათვალისა და არსებული ვაკანსიების განახლებადი მონაცემთა ბაზის წარმოება;

ბ) სწავლებისა და გადამზადების სისტემის ორგანიზება /შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით: მევენახეობა და მეღვინეობა; მეთუნეობა და კერამიკა; - გასტრონომია და კულინარია, კვების მომსახურება/:

- კონკრეტული სეგმენტის, დარგის სპეციფიკური თემატიკა და მისი განვითარების ტენდენციები;
- მენეჯმენტი და მარკეტინგი;
- კომპიუტერული პროგრამები და ელკომუნიკაცია;
- ბუღალტერია და საგადასახადო კოდექსი;
- ინგლისური (მ.შ. ბიზნეს ინგლისური) ენის სწავლება.